საწარმოო დავალებათა შესრულებაში დაწინაურდა ის უბანი, რომელსაც შ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივმა იანვარში გეგმის გადაჭარბებით 900 ტონა მარგანეცი გამოიღო. მუშობაში განსაკუთრებული წარმატება აქვთ სტახანოველებს—მირზოკაძეს, გაფრინდაშვილს, გურულს, კანაშვილს.

ჯ. ჭიჭიკაძე

სასამართლო პროცესი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

მინსკი, 28 იანვარი. (საქდესი). 28 იანვრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა მხარეთა კამათი. ტრიბუნალის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დაცვას. პირველი გამოვიდა ადვოკატი ქ. ნ. ჟუდრო, რომელმაც სასამართლოს სთხოვა ბრალდებულების ვაისიგისა და ჰერფისათვის განაჩენის შემსუბუქება.

ადვოკატი ვ. ი. მიხალსკი სასამართლოს სთხოვს შეუმსუბუქოს სასჯელი ბრალდებულებს რიჰერტსა და კოხს იმ მოსაზრებით, რომ მათ გულახდილად აღიარეს თავიანთი დანაშაულობანი. ადვოკატი მ. ა. სავენკო, რომელიც იცავს ბრალდებულებს ერმანსდორფსა და [illegible]

ადვოკატი ვ. ა. ტატარინცევი ამბობს, რომ ბრალდებულთა სკამზე მჯდომი თვითეული ბრალდებულის დანაშაული თანაბარი არ არის, მისი აზრით, როდენბუში, ჰეხტლი, ფიშერი, მოლი ჯარისკაცები არიან, რომელნიც უსიტყვოდ ასრულებდნენ თავიანთი მეთაურების ბრძანებას, და სთხოვს სამხედრო ტრიბუნალს გაითვალისწინოს ეს გარემოება განაჩენის გამოტანისას.

ადვოკატი მ. ხ. პეტრენკო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე შუამდგომლობს, რომ სასჯელის ზომა შეუმციროს ბურჰარდსა და მიტმანს, ვინაიდან მათ მოინანიეს თავიანთი დანაშაულობანი, [illegible]

[illegible] ამიტომ დამცველი ტრიბუნალს სთხოვს გაითვალისწინოს ეს განაჩენის გამოტანისას და სიცოცხლე შეუნარჩუნოს ჰეტცეს.

ამით მთავრდება სამხედრო ტრიბუნალის დილის სხდომა.

* * *

მინსკი, 28 იანვარი. (საქდესი). 28 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მხარეთა კამათი.

[illegible] ლები ბოროტმოქმედება ჩაიდინა და ნაკლები პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს. ადვოკატი პლევაკო სამხედრო ტრიბუნალს გადასცემს აგრეთვე თავისი კლიენტის ლანგუტის თხოვნას, რომ ლმობიერება გამოიჩინოს მისდამი.

ადვოკატი მ. გ. ბედროსოვი, რომელიც ფალკს იცავს, სთხოვს სამხედრო ტრიბუნალს გაითვალისწინოს, რომ მისმა კლიენტმა ბელორუსიის მიწა-წყალზე გაცილებით ნაკლები ბოროტმოქმედება ჩაიდინა, ვიდრე სხვა ბრალდებულებმა.

ბრალდებული ჰესი, რომელიც თვითონ იცავს თავს, სამხედრო ტრიბუნალს სთხოვს შეუმსუბუქოს მას სასჯელი. ამით მთავრდება მხარეთა კამათი.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევათ ბრალდებულებს ერმანსდორფს, ვაისიგს, ფალკს, მიტმანს, ჰერფს, რიჰერტსა და ლანგუტს. ყველა ისინი საჯაროდ სცნობენ თავს დამნაშავედ და სამხედრო ტრიბუნალს სთხოვენ შეუმსუბუქოს მათ სასჯელი.

ამით მთავრდება სამხედრო ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

[illegible] დებული როდენბუში, ფიშერი, ჰეხტლი, ბურჰარდი, მოლი, ჰესი, გეტერიში, ჰეტცე, ბიტნერი და აიკი სცნობენ მათთვის წარდგენილ ბრალდებებს და სთხოვენ სამხედრო ტრიბუნალს ლმობიერებას. ბრალდებულმა კოხმა სავსებით სცნო თავისი დანაშაული, ხოლო შეწყალება არ ითხოვნია.

შემდეგ სამხედრო ტრიბუნალი გავიდა სათათბიროდ განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

მინსკი, 29 იანვარი. (საქდესი). სამხედრო ტრიბუნალმა დამნაშავედ სცნო ყველა ბრალდებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 1 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულობებში.

იხელმძღვანელა რა ბელორუსიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319-ე და 320-ე მუხლებით, სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა:

რიჰერტს, ჰერფს, ერმანსდორფს, ვაისიგს, ფალკს, კოხს, აიკს, ლანგუტს, მიტმანს, ჰესს, მოლს, ბურჰარდს, ბიტნერს, ფიშერს — **ჩამოხრჩობა**.

ჰეტცეს, ჰეხტლს — **ოცი წლის საკატორღო მუშაობა**.

გეტერიშს, როდენბუშს — **თხუთმეტი წლის საკატორღო მუშაობა**.

გერმანელი ფაშისტი ავაზაკების მიმართ გამოტანილი განაჩენი მოყვანილია სისრულეში

მინსკი, 30 იანვარი. (საქდესი). დღეს 14 საათზე და 30 წუთზე ჰიპოდრომზე სისრულეში მოყვანილ იქნა მინსკის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი გერმანელი ფაშისტი დამნაშავეების — რიჰერტის, ჰერფის, ერმანსდორფის, ვაისიგის, ფალკის, კოხის, აიკის, ლანგუტის, მიტმანის, ჰესის, მოლის, ბურჰარდის, ბიტნერის, ფიშერის მიმართ, რომლებსაც ჩამოხრჩობა ჰქონდათ მისჯილი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში მათ მიერ ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებისათვის.

მინსკის მცხოვრებნი, რომლებიც ჰიპოდრომზე იყვნენ, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ განაჩენის სისრულეში მოყვანას.

სასამართლო პროცესი ველიკიე ლუკის ოლქში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მხეცობის საქმის გამო

25 იანვრის დილის სხდომა

ველიკიე ლუკი, 25 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურის ბრალდებულ პერშის დაკითხვა. მას ბრალდება, რომ, დამსჯელი რაზმის შემადგენლობაში ყოფნის დროს, პარტიზანებთან ბრძოლის საბაბით, საშინლად აწიოკებდა მშვიდობიან საბჭოთა მოსახლეობას. პერში და მისი ხელქვეითნი [illegible]

სასამართლო არკვევს, რომ რატცი ხელმძღვანელობდა სოფელ მელენკის დაწვას. მიიღო რა დავალება სოფლის დაწვის შესახებ, მან თავისი რაზმი უზრუნველყო საწვავიანი ბოთლებით და საარტილერიო მომზადების შემდეგ გაიწია მელენკისაკენ. სოფელში, რასაკვირველია, შეიარაღებული ადამიანები არ აღმოჩნდნენ, მაგრამ სოფელი გადაწვეს, ხოლო [illegible]

გამსაკუთრებული დაჟინებით, კერძოდ ეწეოდა სოფლების გადაწვას.

ბრალდებული იძულებულია აგრეთვე დაადასტუროს სოფლების კოზულინის, პლატონოვის, ბოგორეცკოეს და სხვების გადაწვის ფაქტი.

შემდეგ სასამართლომ დაკითხა გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურე ბრალდებული [illegible]

[illegible] ჯერ ცდილობდა უარეყო თავისი მონაწილეობა ამ ბოროტმოქმედებაში, მაგრამ სამხილთა ზეგავლენით იძულებულია აღიაროს, რომ მონაწილეობდა ოთხ დამსჯელ ექსპედიციაში და 8 სოფლის დაწვაში.

სასამართლო იწყებს გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურის ბრალდებულ რატცის დაკითხვას. ბრალდებული მონაწილეობდა დამსჯელ ექსპედიციებში მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის წინააღმდეგ.

[illegible] დებული კულენკამპი. დამსჯელი რაზმის მეთაურად ყოფნის დროს იგი სადამსჯელო ექსპედიციებს აწყობდა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. საშინლად აწიოკა სოფლები ლახნი და ლინეპკი, გადაწვა სოფლები ზარეჩიე, კიტოვო, ლახნიხა და სხვები.

კულენკამპი აჩვენებს, რომ მისი ძალული, ეგრეთწოდებული „დამკვრელი", მოქმედებდა [illegible] დიციები ტარდებოდა პარტიზანებთან ბრძოლის საბაბით. ამ ექსპედიციების დროს ხოცავდნენ საბჭოთა მოქალაქეებს, სწვავდნენ დასახლებულ პუნქტებს. კულენკამპი მონაწილეობდა სოფლების კრიუკოვის, ზაპოლიეს, მელენკის მცხოვრებთა წინააღმდეგ ექსპედიციებში. ეს სოფლები გადაწვეს მოქალაქეთა მთელ ქონებასთან ერთად.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

25 იანვრის საღამოს სხდომა

ველიკიე ლუკი, 26 იანვარი. (საქდესი). საღამოს სხდომაზე სწარმოებდა გერმანიის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, ქალაქ ველიკიე ლუკის გარნიზონის ყოფილი უფროსის ბრალდებულ რაპარდის დაკითხვა.

ამ ფაშისტმა ჯალათმა ველიკიე ლუკის მოსახლეობისათვის დააწესა სისხლიანი ტერორის რეჟიმი, აწყობდა საბჭოთა მშვიდობიანი მოქალაქეებისა და სამხედრო ტყვეების მასობრივ მოსპობას.

უპასუხებს რა სახელმწიფო ბრალმდებლის კითხვებზე, ბრალდებული ლაპარაკობს ჰიტლერული სამხედრო სარდლობის ბრძანებებზე, რომლებიც ეხებოდნენ „აღმოსავლეთში ოპერაციების წარმოების მეთოდებს". ბრალდებული იგონებს ჰიტლერის მიერ გამოცემულ, მისთვის ცნობილ ბრძანებას პარტიზანულ მოძრაობასთან ბრძოლის შესახებ. ამ ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ ჯარისკაცებმა უნდა მოსპონ არა [illegible]

ნადგურების შესახებ, რომლებიც თავშესაფარს აძლევდნენ პარტიზანებს; ბრძანება, რომელიც მოსახლეობას უკრძალავდა მზის ჩასვლის შემდეგ ქუჩაში გამოსვლას, რაც დახვრეტით ისჯებოდა; ბრძანება, რომელიც დახვრეტის მუქარით უკრძალავდა მცხოვრებთ არ შეკრებილიყვნენ ერთად 2-3 ადამიანზე მეტი.

ბრალდებულ რაპარდის მიერ ხელმოწერილი იყო აგრეთვე ბრძანება თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში მოსახლეობის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ, რაც განუწყვეტელ საარტილერიო ცეცხლქვეშ ხორციელდებოდა.

ბრძანება მშვიდობიანი მოსახლეობის გერმანულ კატორღაში გარეკვის შესახებ ხელმოწერილი იყო რაპარდის მიერ ზოკელის დირექტივის შესაბამისად. ამ ბრძანების ხელისმოწერის შემდეგ 7-8 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები გაიგზავნა გერმანულ კატორღაში. [illegible]

ქვეითი დივიზიის უფროსად ყოფნის დროს მონაწილეობდა ბრიანსკის ოლქში იმ მშვიდობიანი მცხოვრებლების წინააღმდეგ ოპერაციებში, რომლებიც გერმანელების შიშით ტყეებში იმალებოდნენ. მისი დივიზია სხვა შენაერთებთან ერთად სწმენდდა ტყის ზონას. მთელი შეპყრობილი მოსახლეობა იგზავნებოდა ბანაკში, სადაც მას შემდეგ სპობდნენ. ამ ოპერაციების შედეგად, ბრალდებულის სიტყვით, დაიღუპა 24 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები.

ბრალდებული რაპარდი იძულებულია აღიაროს აგრეთვე, რომ ბრიანსკის ოლქის სოფლების მცხოვრებლები მონაწილეობდნენ განსაკუთრებით საშიში უბნების განნაღმვაში. ამ მიზნით რუს ადამიანებს ფარცხებში აბამდნენ და უბრძანებდნენ ველით დანაღმულ ველზე.

სხდომის დასასრულს სახელმწიფო ბრალმდებელი კითხულობს ბრძანებას, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ბრიანსკის ტყეებში [illegible]

26 იანვრის დილის სხდომა

ველიკიე ლუკი, 26 იანვარი. (საქდესი). [illegible]

27 იანვრის დილის სხდომა

ველიკიე ლუკი, 27 იანვარი. (საქდესი). [illegible]

სასამართლო პროცესი ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

27 იანვრის საღამოს სხდომა

რიგა, 28 იანვარი. (საქდესი). 27 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ეკელნის დაკითხვა.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ირკვევა, რომ ბრალდებული და მისდამი დაქვემდებარებული ჯარები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბოშათა, პოლონელი და ებრაელი ეროვნების საბჭოთა მოქალაქეების გაჟლეტაში.

შემდეგ ბრალდებული აჩვენებს, რომ ჰიტლერისა და ჰიმლერის დირექტივით ხორციელდებოდა საბჭოთა ქალების მასობრივი სტერილიზაცია და მამაკაცების კასტრაცია. იგი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ამ საქმეში არ მონაწილეობდა [illegible] და მთელი ბალტიისპირეთი, მოსპეს 550 ათასზე მეტი ებრაელი, 88 ათასი იქ მიიყვანეს გასაჟლეტად ევროპის სხვა ოკუპირებული ქვეყნებიდან. შემდეგ სასამართლო არკვევს, რომ ბალტიისპირეთში მისვლამდე ეკელნი თავის ხელქვეითებთან ერთად ათეულათასობით ებრაელის გაჟლეტაში მონაწილეობდა უკრაინაში — ქალაქებში კიევში, ბერდიჩევსა და სტაროკონსტანტინოვკაში. სასამართლო არკვევს აგრეთვე ბრალდებულის პასუხისმგებლობას საბჭოთა სამხედრო ტყვეების მასობრივი დახვრეტისათვის.

ბრალდებული ეკელნი, როგორც დოკუმენტებით [illegible]

[illegible] უწყობდნენ სამრეწველო მოწყობილობისა და მრავალ განძეულობათა გაზიდვას ლატვიიდან, ლიტვიდან და ესტონეთიდან.

სახელმწიფო ბრალმდებლის შეკითხვის პასუხად ეკელნი აღნიშნავს, რომ პირადად როზენბერგისათვის გაიზიდა ისტორიული განძეულობანი, მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი და ვერცხლის ჭურჭელი რიგიდან და იურიევიდან. ეკელნმა აგრეთვე კერძო წერილი მიიღო ჰიმლერისაგან, რომელშიც უკანასკნელი მოითხოვდა განძეულობათა გაზიდვას მისთვის. მაგრამ, როგორც გაირკვა, ჰიმლერმა დაიგვიანა: როზენბერგმა მოასწრო ყველაფრის ხელში ჩაგდება!

[illegible] ლობისძიებანი ხორციელდებოდა ბერლინიდან მიღებული ბრძანებით და ბრალდებულ ეკელნის დასტურითა და მოწონებით.

სულ ბრალდებულის გამოანგარიშებით ეგრეთწოდებული „ოსტლანდის" ტერიტორიაზე, რომელშიც შედიოდა ბელორუსიის ნაწილი [illegible] გერმანიის კატორღაში მალით გაიყვანეს [illegible] განიზაციაში, აგრეთვე საბჭოთა ბალტიისპირეთის სახალხო მეურნეობის, კულტურულ და ისტორიულ განძეულობათა ძარცვაში.

ბრალდებული აჩვენებს, რომ მისდამი დაქვემდებარებული დამსჯელი ორგანოები ხელს [illegible]

[illegible] კურსკის ყოფილი კომენდანტის ბრალდებულ დიტფურტის ავადმყოფობის გამო სასამართლომ გადაწყვიტა მისი საქმე გამოჰყოს და ცალკე გაარჩიოს ბრალდებულის მორჩენის შემდეგ.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

25 იანვრის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 25 იანვარი. (საქდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი დიუბოსი, რომელიც თავის სიტყვას განაგრძობდა, შეჩერდა პატიმრებისადმი ჰიტლერელების სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე, დაკითხვის დროს წარმოებულ წამებასა და მკვლელობებზე. პატიმრების ასეთ საშინელ წამებას სისტემატურად მიმართავდნენ ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში.

ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ, ნორვეგიის მთავრობის განცხადებათა თანახმად, დაკითხვის დროს წამებისა და სასტიკი მოპყრობის შედეგად დაღუპულ ნორვეგიელთა საერთო რიცხვი 2 ათასზე მეტ კაცს აღწევს. ჰოლანდიის მთავრობის დეკლარაცია და დანიის მთავრობის განცხადებანი, რომლებიც ბრალდების განკარგულებაში მოიპოვება, მოწმობენ, რომ ამ ქვეყნებში ჰიტლერელები დაკითხვის დროს მიმართავდნენ აგრეთვე დახელოვნებულ წამებას, მაგალითად, ყინულიანი წყლის გადასხმას, ელექტროდენის გამოყენებას, რაც პატიმართა უეცარ დაღუპვას იწვევდა.

ჰიტლერული მთავრობის წევრები, ამბობს ბრალმდებელი, პასუხისმგებელი არიან ყველა ამ დანაშაულობისათვის. წამების ამ დანაშაულებრივი პრაქტიკის მთავარი შემსრულებელნი არიან ბრალდებულები ბორმანი და კალტენბრუნერი.

გერმანული სასამართლოები, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზე და დასავლეთ ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში არსებობდნენ, განაგრძობს ბრალმდებელი, იმათ წინააღმდეგ მოქმედებდნენ, ვინც ქედს არ იხრიდა თავიანთი ქვეყნების დამონებასთან ერთად. ამ სასამართლოებს მხოლოდ ერთი სასჯელი [illegible]

[illegible] მხეცურად დახოცეს მაუტჰაუზენში ინგლისის, ამერიკისა და ჰოლანდიის არმიების 47 მფრინავი ოფიცერი და პარაშუტისტი.

1944 წლის სექტემბერში, განაგრძობს მოწმე, ბანაკში ჩამოვიდა ჰიმლერი. იგი დაესწრო 50 საბჭოთა ოფიცრის სიკვდილით დასჯას. ეს დასჯა გაგრძელდა სადილობიდან საღამომდე. საბჭოთა ოფიცრები ერთმანეთის მიყოლებით იდგნენ ქვის სამტეხლოსთან და ამრიგად შეიქმნა ადამიანთა მთელი წყება, რომლებიც სიკვდილს ელოდნენ. სიკვდილით დასასჯელთ ტყვიას ესროდნენ კეფაში.

ბრალმდებელი: იცით თუ არა თქვენ პატიმართა კოლექტიური სიკვდილით დასჯის ზოგიერთი შემთხვევის შესახებ?

მოწმე: ჩვენ ვიცით მაუტჰაუზენის ბანაკში კოლექტიური სიკვდილით დასჯის მრავალი მაგალითი. სიკვდილით იმ დასჯასთან ერთად, რის შესახებაც ეს არის მოგახსენეთ, უნდა გავიხსენოთ განსაკუთრებული სახის სიკვდილით დასჯა. ეს მოხდა 1945 წლის 17 თებერვალს. მაუტჰაუზენში ჩამოვიდა 2.500 პატიმრის ეშელონი. ამ 2.500 კაციდან ცოცხალი იყო 1.700 კაცი. 800 კაცი გზაში დაიღუპა შიმშილითა და სიცივით. მაუტჰაუზენის ბანაკი ამ დროს გაჭედილი იყო პატიმრებით. ადგილი სრულებით არ იყო. ცოცხლად დარჩენილი 1.700 კაციდან კომენდანტმა ამოარჩია 400 ავადმყოფი, მოხუცი და სრულიად მისუსტებული, რომლებსაც უთხრეს ლაზარეთში წახვალთო. ეს 400 კაცი გააშიშვლეს 18-გრადუსიან ყინვაში და ასე ჰყავდათ 18 საათს. სულ მალე ზოგი მათგანი გათოშა, მაგრამ ეს-ესებს მიაჩნდათ, რომ ეს არასაკმაოდ სწრაფად ხდებოდა. მაშინ უბედურნი იმ ღამეს სამჯერ აიძულეს მიეღოთ ყინულოვანი შხაპი. ეს საცოდავები შხაპქვეშ ჰყავდათ ნახევარ საათს, რის შემდეგ შიშვლები [illegible]

შემდგომს ჩვენებაში მოწმე ამბობს, რომ ბანაკის ექიმებმა ჩაატარეს ეგრეთწოდებული „მეცნიერული ექსპერიმენტები" პატიმრებზე. იგი ლაპარაკობს სიკვდილით დასჯის სხვა შემთხვევათა შესახებ, იმის შესახებ, რომ ბანაკში ხშირად მიდიოდნენ გესტაპოს ხელმძღვანელები, გაულაიტერები და სხვა ჰიტლერელები.

ბრალდების ფრანგი წარმომადგენლის მიერ მოწმის დაკითხვის შემდეგ მორის ლამპს რამდენიმე კითხვა მისცა მთავარმა ბრალმდებელმა საბჭოთა კავშირის მხრივ ამხ. რუდენკომ.

რუდენკო: გვითხარით, იცით თუ არა თქვენ, ვისი ბრძანებით დასაჯეს სიკვდილით 50 საბჭოთა ოფიცერი?

მოწმე: მე არ ვიცი 50 საბჭოთა ოფიცრის სიკვდილით დასჯის მიზეზები და ბრძანება მათ შესახებ, მაგრამ, როგორც საერთო წესი, ყველა საბჭოთა ოფიცერი, ყველა პოლიტიკური კომისარი ან კომუნისტური პარტიის წევრი მაუტჰაუზენში სიკვდილით დასაჯეს.

რუდენკო: არ შეგიძლიათ დაწვრილებით გვიამბოთ 4 ათასი საბჭოთა სამხედრო ტყვის სიკვდილით დასჯის შესახებ, რომლებზედაც თქვენ ილაპარაკეთ?

მოწმე: ეს ადამიანები დახოცეს მუშაობის დროს იმიტომ, რომ, როგორც სჩანს, აუტანელი მუშაობა და შიმშილობა მათ შესაძლებლობას არ აძლევდა შეესრულებინათ სამუშაო დავალება. ისინი ან ადგილზევე დახოცეს ჯოხის ცემით, ანდა აიძულებდნენ მისულიყვნენ მავთულთან და იქ ხვრეტდნენ.

დამცველთ ერთი შეკითხვაც არ მიუციათ მოწმისათვის.

მოწმის დაკითხვის შემდეგ ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი განაგრძობს დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას ჰიტლერელთა მხეცობაზე საფრანგეთში და [illegible]

28 იანვრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 28 იანვარი. (საქდესი). [illegible]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

ამხ. ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა უშიშროების საბჭოში

ლონდონი, 28 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ვიშინსკიმ, რომელიც უშიშროების საბჭოში სიტყვით გამოვიდა 28 იანვრის დღის სხდომაზე, განაცხადა:

„მე საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი განცხადება გავაკეთო. როგორც ადრე ვსთქვი, გვერდს ვუვლი ირანის დელეგაციის მიერ საქმის შინაარსის გამო წამოჭრილ საკითხებს და შევეხები მხოლოდ საპროცედურო მხარეს. შევეცდები მოვიყვანო დამამტკიცებელი საბუთები იმ ფაქტების უარსაყოფად, რაც წამოაყენა ირანის იმ მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებას სათავეში აღარ უდგას და რომლის პრეტენზიებს არავითარი საფუძველი არა აქვს.

ირანის მთავრობის მიერ დასმული საკითხები მოყვანილია ირანის ორ განცხადებაში. ეს საკითხები არ შეიძლება გახდეს მსჯელობის საგნად უშიშროების საბჭოში, რამდენადაც ისინი არ უპასუხებენ იმ პირობებს, რაც ამისათვის წესდებით არის შემოღებული. მაგრამ გზადაგზა უნდა შევეხო ზოგიერთ ფაქტიურ ცნობებს, რომლებიც არასწორად და ტენდენციურად არის გაშუქებული ირანის დელეგაციის მიერ. ახლა საჭიროა გადაწყდეს, უნდა განიხილოს თუ არა უშიშროების საბჭომ ირანის ჰაკიმის ყოფილი მთავრობის მიერ დასმული საკითხები, მთავრობისა, რომელსაც, როგორც ჩანს, ამოცანად ჰქონდა დასახული ესინჯა გაეუარესებინა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობა.

გადავდივარ საკითხის საპროცედურო მხარეზე. აქ ორი ძირითადი მომენტია. ჯერ ერთი, საჭიროა გამოირკვეს, სწარმოებდა თუ არა მოლაპარაკება ირანისა და საბჭოთა მთავრობებს შორის. მეორე, საჭიროა განვიხილოთ ამ მოლაპარაკების შედეგები. ირანის დელეგაციის მიერ უშიშროების საბჭოსათვის 19 იანვარს გაკეთებულ პირველ დეკლარაციაში ირანის დე-

[illegible]

ჩრდილოეთ ოსტანებში სინამდვილეს არ შეეფერება, რომ, პირიქით, 26 ნოემბრის საბჭოთა ნოტაში სრულებით არ არის ნათქვამი იმაზე, რომ „მომავალში ასეთი ინციდენტები აღარ განმეორდებაო", როგორც ამას ამტკიცებს ირანის დელეგაცია. მართლაც, როგორ შეიძლო ირანის მთავრობის 1 დეკემბრით დათარიღებულ ნოტას კმაყოფილება გამოეთქვა საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო, რომ [illegible]

[illegible]

კითხს იმის შესახებ, რომ სამი მინისტრის მოსკოვის კონფერენციას განეხილა ირანის მთავრობის სურვილი ირანიდან უცხოელთა ჯარების გაყვანის შესახებ, იმის შესახებ, რომ მოსკოვის კონფერენციაზე არ მიეღოთ არავითარი გადაწყვეტილება ირანის მთავრობასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე. ამიტომ შეიძლება განვაცხადოთ, რომ 1 დეკემბრის შემდეგ ირანის მთავრობას აღარ გაუმეორებია თავისი პრეტენზიები საბჭოთა კავშირის მიმართ, და [illegible]

ასეთი ანალიზი უნდა გავუკეთოთ ამ საკითხის გარემოებას წესდების 33, 34, 36, 37 მუხლებთან დაკავშირებით. წესდების 33 მუხლში ნათქვამია: „მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ ყოველგვარ დავაში, რის გაგრძელებამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას, უწინარეს ყოვლისა უნდა ეცადონ გადასწყვიტონ დავა მოლაპარაკებით, გამოკვლევის გზით..." და ა. შ., როგორც ამ მუხლშია აღ- [illegible]

[illegible]

...ნომბრის 26 ნოემბრის საბჭოთა ნოტაში მოყვანილ განცხადებათა შინაარსი, იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ, თუ რა ხასიათისა იყო ეს განცხადებები, საჭიროა, რა თქმა უნდა, მივმართოთ ამ განცხადებებს, ე. ი. საბჭოთა მთავრობის 26 ნოემბრის ნოტას. თუ ამ ნოტას მივმართავთ, დავრწმუნდებით, რომ საბჭოთა განცხადებაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საბჭოთა მოსამსახურეების ჩარევა შინაურ საქმეებში ირანის [illegible] ...თავს საბჭოთა მთავრობისათვის ანალოგიური პრეტენზიებით, რომლებიც თითქოს დაკმაყოფილებული არ ყოფილა. მაგრამ, თუ მივმართავთ ირანის მთავრობის ამ ნოტებს, დავინახავთ, რომ ისინი ეხებიან არა პრეტენზიებს, რომლებითაც ირანის მთავრობა წინათ მიმართავდა საბჭოთა მთავრობას, არამედ აყენებენ სრულიად ახალ საკითხებს, სახელდობრ, საარა, ასეთი საფუძველი არ არსებობს.

ასეთია საქმის ფაქტიური მდგომარეობა. მაგრამ მე მსურს ანალიზი გავუკეთო უშიშროების საბჭოში ირანის განცხადების დასაბუთებას იურიდიული თვალსაზრისითაც, იმ თვალსაზრისითაც, თუ რამდენად შეესაბამება ირანის დელეგაციის ეს განცხადება გაერთიანებული ერების წესდებას.

[illegible] ...მოაქვს, გამომდინარეობს ორგანიზაციის წევრებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის ინტერესებიდან, საერთაშორისო ნდობისა და ერთმანეთისადმი კეთილსასურველი ურთიერთობის განმტკიცებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგებში ერთიანობისა და მეგობრობის განმტკიცების მისწრაფების ინტერესებიდან".

უშიშროების საბჭოს სხდომა

ლონდონი, 30 იანვარი. (საკდესი). დღეს შესდგა უშიშროების საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი უკომენტარებოდ მიიღეს. იგი 28 იანვრის სხდომის დღის წესრიგისაგან არ განსხვავდებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ მეიკინმა განმარტა, რომ ირანის დელეგაციის 1946 წლის 26 იანვრის წერილი დღის წესრიგში შეცდომით გამოტოვებული იყო და შეტანილ უნდა იქნას მასში. შემდეგ თავმჯდომარემ მოკლედ გააცნო საბჭოს წინა სხდომის მსვლელობა და განაცხადა, რომ ირანის დელეგატს სურს გააკეთოს სიტყვიერი განცხადება. თუ ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება, განაცხადა მეიკინმა, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს უნდა მიეცეს საშუალება გამოვიდეს ისეთი პასუხით, როგორსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს. ეს წინადადება სხდომამ მიიღო. ირანის წარმომადგენელმა ტაგი-ზადემ გააკეთა თავისი განცხადება. უარჰყო რა დებულება, რასაც შეიცავს ამხ. ვიშინსკის მიერ 28 იანვარს უშიშროების საბჭოში წარმოთქმული სიტყვა, ტაგი-ზადემ გაიმეორა ბევრი რამ იმათგან, რაც უკვე აღნიშნული იყო მის 28 იანვრის ვრცელ სიტყვაში და მათ შორის თავისი განცხადება იმის შესახებ, ვითომ ადგილი ჰქონოდეს საბჭოთა კავშირის ჩარევას ირანის შინაურ საქმეებში.

ტაგი-ზადეს სიტყვით, „არავითარი პირდაპირი მოლაპარაკება დავის გადაწყვეტის შესა- [illegible]

...ლებით მოვისმინე ირანის დელეგაციის წარმომადგენლის განცხადება, მაგრამ არა მსურს მის მაგალითს მივბაძო, რადგან ეს უკვე თქმულის მხოლოდმხოლოდ განმეორება იქნებოდა და ვერავითარ გარდატეხას ვერ მოახდენდა. ამხ. ვიშინსკიმ აღნიშნა: ტაგი-ზადე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საბჭოთა კავშირის და ირანის მთავრობებს შორის არავითარი მოლაპარაკება არ წარმოებულა, ან, უფრო, მოლაპარაკება ყოფილა, მაგრამ არ ყოფილა პირდაპირი მოლაპარაკება. არაპირდაპირი მოლაპარაკება, როგორც ეს ყველას ესმის, არის ისეთი მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებს რომელიმე მესამე პირის ან მთავრობის მეშვეობით. ირანის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და დოკუმენტებიც კი ეწინააღმდეგებიან ირანის დელეგაციის წარმომადგენლის განცხადებას. დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ მოლაპარაკება ნამდვილად სწარმოებდა და რომ ეს იყო პირდაპირი მოლაპარაკება.

შემდეგ ამხ. ვიშინსკიმ დაიმოწმა ირანის 1 დეკემბრის ნოტის ტექსტი, რომელშიც ირანის მთავრობა კმაყოფილებას გამოსთქვამდა საბჭოთა მთავრობის დაპირებათა გამო. ამხ. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იყო ოფიციალური დოკუმენტის სიტყვები და რომ არავითარი საფუძველი არ არის მათი უგულებელყოფისათვის. მან სთქვა: რამდენადაც [illegible]

...დამხოლოდ ირანის საშინაო პრობლემას წარმოადგენს. ეს ამბები გამოხატავდნენ ხალხის მისწრაფებას ეროვნული ავტონომიისადმი ირანის სახელმწიფოს ფარგლებში და საერთო არაფერი ჰქონდათ საბჭოთა ჯარების იქ ყოფნის საკითხთან. ეს აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა უბრალო და მოკრძალებული გამოხატულება იყო. შემდეგ ამხ. ვიშინსკიმ აღნიშნა: როცა ამბები ხდებოდა ჩრდილოეთ ირანში, ირანის მთავრობას საკმაო რაოდენობით ჰყავდა რეგულარული ჯარი და პოლიციის ნაწილები წესრიგის დასაცავად და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება, რომ რაიმე დამატებითი ჯარი არ შეეშვა ამ პროვინციებში, სწორი და კანონიერი გადაწყვეტილება იყო, რადგან იგი მიზნად ისახავდა არ დაეშვა სისხლისღვრა და არ შეექმნა ახალი სიძნელეები და გართულებანი როგორც თვითონ ირანისათვის, ისე იქ მყოფი საბჭოთა ჯარებისათვის. ამხ. ვიშინსკიმ მოიხსენია აგრეთვე, რომ ირანის მთავრობა 13 დეკემბრისა და 15 დეკემბრის ნოტებით დაჟინებით მოითხოვდა განხილული ყოფილიყო საკითხი ირანის ტერიტორიიდან ყველა ჯარების და არა მარტო საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ. ამხ. ვიშინსკიმ განმარტა, რომ, რამდენადაც ირანის საკითხი განხილული არ ყოფილა საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირზე, ირანის დელეგატები არ იყვნენ მიწვეულნი ამ [illegible]

[illegible]

...ყოველთვის შეუძლია განახორციელოს თავისი რწმუნებანი ისე, რომ ასეთი პირობა არ წამოაყენოს ამ შემთხვევის გამო.

თავმჯდომარემ ტაგი-ზადეს, მისი თხოვნით, მისცა სიტყვა შესწორების შესატანად, ამასთან გააფრთხილა, რომ იგი უნდა დასჯერდეს ამ შესწორებას.

ტაგი-ზადემ გაიმეორა თავისი წინანდელი განცხადებანი იმის შესახებ, თითქოს ირანისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის არ წარმოებულიყოს მოლაპარაკება.

მისი სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ა. ი. ვიშინსკის, სურს თუ არა მას კიდევ დასძინოს რამე. ამხ. ვიშინსკიმ უარი განაცხადა, სთქვა, რომ, მისი აზრით, მდგომარეობა სავსებით ნათელია.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საკითხი ისმება გასნსახილველად.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა საბჭოთა კავშირისა და ირანის წარმომადგენელთა განცხადებანი 28 და 30 იანვრის სხდომების მსვლელობაში და გაეცნო რა საბჭოთა კავშირისა და ირანის დელეგაციების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, აგრეთვე სიტყვიერი გამოსვლების მსვლელობაში მოხსენიებულ დოკუმენტებს; მხედველობაში მიიღო რა, რომ ორივე მხარე ადასტურებს მზადყოფნას განსახილველი საკითხის გადაწყვეტას მიაღწიონ მოლაპარაკების გზით და რომ ეს მოლაპარაკება უახლოეს მომავალში განახლდება, უშიშროების საბჭო წინადადებას აძლევს მხარეებს შეატყობინონ მას ყოველი შედეგი, რომელიც მიღწეული იქნება ამ მოლაპარაკების მსვლელობაში. ამავე დროს უშიშროების საბჭო უფლებას იტოვებს მოითხოვოს ინფორმაცია მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ".

[illegible]

...ხებ არ წარმოებულა" და „ნოტების გაცვლა საბჭოთა კავშირისა და ირანის მთავრობებს შორის არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოლაპარაკება". „თუ საბჭოთა კავშირი, — სთქვა ტაგი-ზადემ, — მზადაა პირდაპირი მოლაპარაკებისათვის ამ დავის შესახებ, ჩვენ მზადა ვართ დავიწყოთ პირდაპირი მოლაპარაკება, უკეთუ უშიშროების საბჭო გვირჩევს ამ გზას დავადგეთ".

ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ, რომელიც ტაგი-ზადეს შემდეგ გამოვიდა, განაცხადა: ძალიან ყურად- [illegible]

...მაშინ რეალისტურ თვალსაზრისს ადგა, რასაც ახლა სავსებით ივიწყებენ ირანის დელეგაციის წარმომადგენლები.

შეეხო რა ირანის საჩივარს, რომ საბჭოთა მთავრობამ ნება არ დართო მის ჯარებს შესულიყვნენ ჩრდილოეთ ირანში, ამხ. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ვითარება, რომელშიც ამბები ხდებოდა ჩრდილოეთ ირანში. საბჭოთა მთავრობის აზრით, ჩრდილოეთ ირანის ამბები მხოლოდ- [illegible]

შეეხო რა ტაგი-ზადეს სიტყვის უკანასკნელ ნაწილს, ამხ. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ ირანის მთავრობის სურვილი უშუალოდ საბჭოთა კავშირის მთავრობასთან აწარმოოს მოლაპარაკება შეესაბამება საბჭოთა მთავრობის სურვილებს. მაგრამ ირანის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს, რომ ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდეს უშიშროების საბჭოს მეთვალყურეობითა და კონტროლით. ვიშინსკიმ ენერგიულად უარჰყო ასეთი პირობა. უშიშროების საბჭოს [illegible]

დე ვალერას განცხადება

ლონდონი, 31 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 29 იანვარს სიტყვა წარმოსთქვა ეირეს პრემიერ-მინისტრმა დე ვალერამ, რომელმაც განაცხადა: „ამჟამად არ არსებობს ასეთი ქვეყანა—„ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო". მან არსებობა შესწყვიტა 8 წლის წინათ. ამჟამად ჩვენ დამოუკიდებელი რესპუბლიკა ვართ. ჩვენ არა ვცნობთ არავითარ სუვერენიტეტს, გარდა ჩვენი საკუთარი ხალხის სუვერენიტეტისა—ეს ის ფაქტია, რომელიც თვალნათლივ უნდა ცხადეყო ჩვენს პოზიციას უკანასკნელი ომის განმავლობაში".

შემდეგ დე ვალერამ აღნიშნა, რომ ძველი ერთიერთობა კონტინენტთან აღდგენილ უნდა იქნას, მაგრამ ეირემ უნდა აგრძნობინოს კონტინენტის ხალხებს, რომ იგი არის დამოუკიდებელი ერი, რომელსაც თავისი საკუთარი სუვერენიტეტი აქვს.

დე ვალერამ კვლავ დაჟინებით მოითხოვა, რომ ეირეში უნდა შევიდეს ჩრდილოეთ ირლანდიის ექვსი საგრაფო, და დასძინა: „რამდენადაც ირლანდიელი ხალხის უფლებები აღიარებული და აღდგენილია, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, რომ ინგლისი ჩვენი უახლოესი მეზობელია და რომ ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ მასთან იმ დარგებში, რომლებშიც ჩვენ თვითონ საჭიროდ მივიჩნევთ თანამშრომლობას".

კანდიდატურის წამოყენება უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე

ბუდაპეშტი, 29 იანვარი. (საკდესი). წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა დაადგინა პარტიის პლენუმს ურჩიოს უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენოს ზოლტან ტილდის კანდიდატურა.

ამ კანდიდატურის სასარგებლოდ აზრი გამოსთქვა აგრეთვე კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების შემთანხმებელმა კომისიამ.

გარდაიცვალა ჰარი ჰოპკინსი

ლონდონი, 29 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ნიუ-იორკიდან გადმოგვცემს, რომ 29 იანვარს გარდაიცვალა განსვენებულ პრეზიდენტ რუზველტის ყოფილი სპეციალური თანაშემწე ჰარი ჰოპკინსი.

არგენტინაში დააპატიმრეს პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები

ნიუ-იორკი, 29 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან გადმოგვცემს, რომ ქალაქ ჯუჯუს ხელისუფლებმა დააპატიმრეს პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული ბლოკისაგან ტამბორინი, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი მოსკა და 100 მათი მომხრე.

კორესპონდენტი იუწყება, რომ დაპატიმრება მოხდა მას შემდეგ, რაც პერონის მომხრენი თავს დაესხნენ მატარებელს, რომლითაც მგზავრობდნენ მოსკა და მისი თანმხლები პირნი. მატარებლისათვის ტყვიის დაშენის დროს მოკლულია ერთი კაცი.

აჭარის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები

„მოკვეთილი", „უძლეველნი", „უდანაშაულო დამნაშავენი", „ორი ბატონის მსახური", „ბაბუა თემქო"

აჭარის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი, დიდი შემოქმედებითი აღმავლობით მუშაობს. თეატრის ახალი დადგმები გვიჩვენებენ, რომ მას არა მარტო შეუძლია დაისახოს დიდი შემოქმედებითი მიზნები, არამედ წარმატებითაც შეასრულოს ისინი.

ვაჟა ფშაველას „მოკვეთილის" დადგმა აჭარის სახელმწიფო თეატრმა გასული წლის მარტში განახორციელა. რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა ამ პიესის დადგმით გამოიჩინა სპექტაკლის სცენიური გადაწყვეტის შესანიშნავი ალღო და კულტურა. ჩვენ ვნახეთ მგზნებარე სპექტაკლი, რომელიც ეხმაურება ჩვენი ეპოქის ადამიანთა სულისკვეთებას, სამშობლო მიწა-წყლისადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობას.

თეატრმა შესძლო მიეტანა მაყურებლამდე ვაჟას პიესის დედააზრი. რეჟისორის ნიჭი განსაკუთრებით პიესის ფინალში ჩანს, როდესაც „მოკვეთილი"—ქისტებს შეხიზნული ბაბა ქისტების წინააღმდეგ ილაშქრებს ფშავთა დროშის დასაცავად.

[illegible]

ერთი შესანიშნავი სპექტაკლი გამოვიდა თეატრის რეპერტუარში.

შემსრულებელთა შორის პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ მსახიობ ხასან მეგრელიძის (ტრუფალდინო) და ნათელა წერეთლის (სმერალდინა) თამაში. ისინი არიან მთელი სპექტაკლის სულისჩამდგმელნი. მეგრელიძე და წერეთელი მიმზიდველად წარმოგვისახავენ გოლდონისებურ, თითქოს გულუბრყვილო, მაგრამ სინამდვილეში ყველას გულთამხილავ ონავრებს. მაყურებელთა მოწონებას იმსახურებენ მსახიობები მედეა ქორელი (ბეატრიჩე) და ალ. სარჯველაძე (ფლორინდო). მსახიობები თინა სარჯველაძე კლარიჩეს როლში და კ. გოგიბერიძე სილვიოს როლში კარგ აქტიორულ მონაცემებს ამჟღავნებენ. კომედიურ ვითარებაში საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს თავიანთი როლები მსახიობებმა ვ. ჩხაიძემ (პანტალონე), კ. ჩხაიძემ (ლომბარდო) და დ. კაცაძემ (ბრიგელა). ანსამბლში მოხდენილად შედიან პატარა ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც: შ. ძიძიშვილი, დ. სამხარაძე, მ. ცინცაძე და რ. ოდიკაძე.

[illegible]

...შემდეგი სპექტაკლი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, იყო კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური". ეს პიესა აჭარის სახელმწიფო თეატრში დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ინასარიძემ. რეჟისორმა ამ სპექტაკლით გამოამჟღავნა სათანადო ერუდიცია და მხატვრული გემოვნება. ეტყობა მას ეხერხება აქტიორებთან პედაგოგიური მუშაობა. ამით უნდა აიხსნას, რომ „ორი ბატონის მსახური", რომელიც დაიდგა თითქმის მთლიანად ახალგაზრდა აქტიორული ძალების მონაწილეობით, ერთ-

...აჭარის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების მხატვრული გაფორმება სათანადო დონეზე დგას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაფორმება სპექტაკლისა „უძლეველნი", რაც მხატვარ ვ. ცინცაძის მიერ არის შესრულებული. მხატვრები შ. ცინცაძე და გ. მეგრელიძე ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე კომპოზიტორ ა. ფარცხალაძესთან ერთად აჭარის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების გამაჩუქებათა მონაწილენი არიან.

თეატრალი

ელექტროენერგიის გამფლანგველებისათვის—პასუხისგებაში

ამჟამად თბილისში მუშაობს თელასისა (თბილისის ელექტროდანადგართა ტრესტი) და მილიციის ორგანოების წარმომადგენელთაგან შემდგარი რამდენიმე ბრიგადა, რომელთაც დაკალებული აქვთ შეამოწმონ, თუ ვის აქვს ბინაში უნებართვოდ გაყვანილი ელექტროდენი. ჯერ-ჯერობით ამ ბრიგადებმა აღმოაჩინეს 40-მდე ბინა და სახლი, სადაც ელექტროენერგიას უნებართვოდ ღებულობენ. ზოგ შემთხვევაში ელექტროენერგიით სარგებლობა ხდება ყოვლად დაუშვებელი წესით. ასე, მაგალითად, მოლოტოვის რაიონში, მეჩნიკოვის ქ. № 1, მოქალაქე გ. ეზხატიანის ბინიდან მავთულზე მიბმული ჩანგალი გადადებული იყო ქუჩაში გაბმულ ელექტროგამანაწილებელი ქსელის ერთ მავთულზე. მოსალოდნელი იყო ხანძარი.

გამომჟღავნებულ იქნენ აგრეთვე ელექტროენერგიის მითვისებლები ტ. ე. ჩლიქაძე (ბესიკის ქ. № 3), მ. ა. ლაცაბიძე (ლენინის ქ. № 3), მ. ნ. ცომაია და რ. დ. ელკინი (ლენინგრადის ქ. № 11), ქ. ი. კამბაძე (მავთელის ქ. № 10) და სხვ.

უნებართვოთ იღებდნენ ელექტროენერგიას ჩალაუბნის ქუჩაზე № 1 სახლის მობინადრეები (სახლმმართველი ს. ასლამაზოვა), მელიქიშვილის ქ. № 11 მობინადრეები (სახლმმართველი კანდელაკი) და სხვ.

ელექტროენერგიის გამფლანგველები მიცემული არიან პასუხისგებაში.

სასამართლო

ბანდიტს დახვრეტა მიესაჯა

ოთარ ნიკოლოზის-ძე ბაქრაძეს მრავალჯერ წაასწრეს ქურდობაზე, მრავალჯერ დასვეს ბრალდებულის სკამზე და პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მაინც არ გამოსწორდა. უკანასკნელად 1942 წელს ქურდობისათვის სასჯელის მოხდის შემდეგ მან იარაღი იშოვა, და თბილისის მცხოვრებთა ძარცვას მიჰყო ხელი.

მძარცველი შეიპყრეს. მისი საქმე გაარჩია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ამხ. ი. ეფრემიძის თავმჯდომარეობით. ბრალდებას მხარი დაუჭირა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის სისხლის სამართლის განყოფილების პროკურორმა იუსტიციის მრჩეველმა ამხ. ვ. სიხარულიძემ.

პროცესზე გამოირკვა, რომ ბრალდებული ოთარ ნიკოლოზის-ძე ბაქრაძე 1942 წელს დაკავშირებული იყო თბილისში მოქმედ, ამჟამად ლიკვიდირებულ გ. ფაჯიშვილის ბანდიტთა ჯგუფთან და მონაწილეობას იღებდა შეიარაღებულ თავდასხმებში, მკვლელობასა და მშრომელთა ძარცვაში.

ბრალდებულ ოთარ ბაქრაძეს, როგორც გამოუსწორებელ პიროვნებას, სასამართლომ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 1/II — „ტრავიატა". **რუსთაველის სახელობის** — 1/II — „ღალატი", 2/II — „კიკვიძე". **მარჯანიშვილის სახელობის** — 1/II — „მოკვეთილი". 2/II — „ქამთაბერის ასული". **გრიბოედოვის სახელობის** — 1/II — „მელიები". 2/II — „ასეც იქნება". **მუსიკალური კომედიის** — 1/II — „მსახიობის ,სიყვარული". 2/II — „ხაჯარათი". **სანკულტურის** — 2/II — „ნალექი".

კინოებში

1 თებერვალს: **რუსთაველის სახელობის**— „სილვა". **ოქტომბერი** — „ზღვის ბატალიონი". **დამკვრელი** — „მისი მსახურის დი". **კომკავშირელი** — ამხანაგ სტალინის სიტყვა 1937 წლის 11 დეკემბერს მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე და „მოთხრობა ჩვენი ბავშვების შესახებ". **სპარტაკი** — „ტყუპი". **ლუქსემბურგის სახელობის** — „მელიები". **ოფიცერთა სახლი** — „გაზაფხულის ვალსი".

ლ ე ქ ც ი ა

1 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება პროფესორ **ბუდილევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ლენინის წიგნი — „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან"**.

მოქალაქე **მიხეილ ალექსანდრეს-ძე უანჩელმა**, მცხოვრებმა თბინელის ქ. № 28, აღძრა საქმე გრიბოედოვის ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე **ლუიზა ლევანის-ასულ ნალბანდიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

ავტომატური ტელეფონის ქსელის კოლექტივი იუწყება **ივანე კონსტანტინეს-ძე წერეთლის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2/II, 7 ს. გამოსვენება 3/II, 1 ს. ლენინის II შესახვევი, 5.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00115